საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

საუფლო ბჭობის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№13 (6388) 31 იანვარი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

დღეს ნომერში:

* სიახლე პროფკავშირულ ცხოვრებაში
* ოჯახი
* ვიცოდეთ ჩვენი ისტორია
* ზამთარია, ყინავს, ფრთხილად!
* რას მივაწეროთ?

მე-2-მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად საიჯარო ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში იჯარის დანერგვის საქმეში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა მოსახლეობაში უნდობლობა გამოიწვია. სოფლის მშრომელთა ნაწილმა საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლისა და კერძო საკუთრებაში მიწის, ტექნიკის, პირუტყვისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების გადაცემის მოლოდინში საერთოდ მიატოვა მუშაობა. დაიწყო როგორც მიწის, ისევე ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების თვითნებური გადანაწილება, რის გამოც მთელ რიგ რაიონებში ჩაშლილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რეალური საფრთხის წინაშეა 1991 და შემდგომი წლების მოსავლის ბედი!

დაუშვებლად მიიჩნია რა შექმნილი მდგომარეობა და გაითვალისწინა რა ისიც, რომ გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნება როგორც საზოგადოებრივი მეურნეობები, ისევე სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს აღკვეთონ სახელმწიფო ქონების თვითნებური დანაწილება-დატაცება, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მიტაცებული ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაუყოვნებლივ დასაბრუნებლად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს მიეცათ დავალება უზრუნველყონ ადმინისტრაციულ ერთეულებზე სასოფლო-სამეურნეო და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთის მოცულობის დაყვანა, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყონ შესაბამის საწარმოებთან და სხვა მწარმოებლებთან ზემოაღნიშნული პროდუქციის სახელმწიფო ჩაბარებაზე ხელშეკრულებათა დადება.

გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალა არსებული შინასამეურნეო ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობათა შენარჩუნება და განვითარება. ამასთან დაკავშირებით დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა შესახებ" (თან ერთვის). დაწესდა რომ დებულების პროექტი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიწის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებამდე.

გადაწყდა აგრეთვე, რომ მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს განსახილველად.

(სსაქინფორმი).

* * *

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების პროექტი დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

ამაღლდეს ჭერი...

ყველა შვილმრავალი ოჯახი ერის სიძლიერეა. მით უფრო დღეს, როცა ასე უჭირს საქართველოს და ჰაერივით გვჭირდება სიმრავლე. სასიამოვნოა, რომ შარშან 184 პატარა დაიბადა ლეჩხუმში, წინა წელზე 15-ით მეტი, ჩვენს ლამაზ კუთხეში დაბადებული 184 ქართველი შეემატა საქართველოს.

ჩვენი მამა-პაპა გრძნობდა პასუხისმგებლობას ერის წინაშე და თუ გადავხედავთ, დღეგრძელ ადამიანებში იშვიათად შეხვდებით ისეთს, თუ თვითონ არა, მრავალშვილიანი ოჯახის შვილი მაინც არ იყოს.

საბედნიეროდ, ბევრი ახალგაზრდა ოჯახი, გრძნობს რა ერის გასაჭირს, მრავალშვილიანობაზე ფიქრობს და ჩვენდა გასახარად მოგვიმრავლდნენ კიდეც მრავალშვილიანები. ჯერ 33 წლისაც არაა ორბელელი დარეჯან ლიპარტელიანი და ეს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი, თითქოს დაუჯერებელიცაა, მაგრამ 5 შვილის დედაა. სიცოცხლის ხალისი და მხიარულება ისმის ამ ჭერმაღალი ოჯახიდან. ამ პატარების მამა თემურ ლიპარტელიანი ცაგერში საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო საბჭოში მძღოლად მუშაობს. ლამაზი, კოხტა ოჯახი აქვთ დარეჯანს და თემურს. არ უჭირთ, შრომობენ და 5 შვილს კი არა კიდევ მეტიც რომ გააჩინონ თავისუფლად გაზრდიან. რამდენი დადებითი რამ ახლავს მრავალშვილიანობას, სიკეთე, სიყვარული ერთმოყვარეობა რომ უფრო მოძალებულად ახასიათებს მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილ ადამიანებს, ეს უდავოა, მიუხედავად საზრუნავისა დაღლა არ ეტყობა დედას, ყოველ დილით მაია, მადონა, ნინო და გოგი სკოლისკენ მიიჩქარიან, ჯერ პატარები არიან: უფროსი— მაია მე-3 კლასელია, სახლში, დედასთან და ბებიასთან ორი წლის ჭაბუკა რჩება.

გვიმრავლოს ასეთი ოჯახები, ამაღლდეს ჭერი, მოკვდეს მტერი.

გაზაფხული კარზეა

მოვამზადოთ ტექნიკა

იქიდან აფორიაქებულებს ათასგვარი საზრუნავ-საფიქრალი მოგვიმატა 1991 წელმა. ერთმანეთზე გადახლართულ შინაურ თუ საგარეო ამბებს, იმ აგრესიას, რასაც ცენტრი ქართულ მიწაზე ავრცელებს, გამკლავება და საკადრისი პასუხის გაცემა უნდა.

ამასობაში დრო არ იცდის, წინ მიდის და გაზაფხული გვიახლოვდება, რისთვისაც საჭიროა ტექნიკის მომზადება, მუშა გამწევი ძალის მზადყოფნა, რომ ყველაფერი დროულად მოხდეს და ჩვენს ჩავარდნილ ეკონომიკას რაც შეიძლება დროზე ეშველოს.

ახლა ჩვენი ყველაზე დიდი საზრუნავი ტექნიკის რემონტია. რაიონში სულ, ყველა სახის 114 ტრაქტორია. მათ შორის სახნავია 52, აქედან დღეისათვის გამართულ მდგომარეობაშია 30 ტრაქტორი, რემონტშია 6, გასარემონტებელი კი—14 ტრაქტორი.

ტექნიკის საგაზაფხულო მზადყოფნისათვის კარგი მდგომარეობაა ცაგერის, ტვიშის, ალპანის კოლმეურნეობებში, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. ტექნიკის მზადყოფნას აფერხებს ის, რომ აგროსამრეწველო გაერთიანების, კოლმეურნეობებისა და საერთოდ საზოგადოებრივი მეურნეობათა რეორგანიზაციამ ერთგვარი გაუგებრობა შექმნა ადგილებზე, შეიქმნა უპასუხისმგებლობისა და განუკითხაობის ატმოსფერო, იგრძნობა ხელმძღვანელობის დეფიციტი, ტრაქტორისტები თვითნებურად დაეპატრონენ ტექნიკას, აღარ ემორჩილებიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მიუხედავად ათასგვარი თხოვნისა ტექნიკა თავიანთ სახლში ჰყავთ და უარს ამბობენ მანქანა-ტრაქტორთა პარკში მის დაყენებაზე.

ამას ზედმეტ-ნაკლებად ადგილი აქვს თითქმის ყველგან, მაგრამ ამ მხრივ უფრო რთული მდგომარეობაა ორბელის კოლმეურნეობაში, სადაც 8 ტრაქტორი მექანიზატორთა ხელშია და მისი საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მწყობრში ჩაყენება ჭიანურდება, ხოლო უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან 4 ტრაქტორია გაყვანილი და არ მომოხერხდა რომ ტრაქტორისტებმა უკან დაბრუნონ, რისთვისაც ხვნა-თესვისათვის გამართული ტექნიკის დახვედრებას ამ რეგიონში ხელოვნური საფრთხე ექმნება. მექანიზატორთა ასეთი თვითნებობა ღალატის ტოლფასია.

სწორედ ასეთმა არაორგანიზებულმა მოქმედებამ, მხოლოდ პირადულისათვის ზრუნვამ შეგვიქმნა ის პირობები, რომელშიაც ახლა ვიმყოფებით, მაღაზიებიდან ფაქრა კვერცხი, ყველი, ქათამი, კარტოფილი, ლობიო და ასე გაგვიჭირდა, განა რა დაგვემართა, სათიბი სავარგულები გვაკლია თუ სამარცვლე ფართობები.

წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, უწესრიგობა და თვითნებობა კარგს არ მოუტანს საერთო საქმეს. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს არ ეკადრება ასეთი დაწვრილმანება. პირადი ინტერესებისათვის ასე თავგამოდება, სოფელი ქვეყნის ბედელი იყო და კვლავაც ასე უნდა იქნეს.

ტრაქტორი ხალხს ეკუთვნის, ხალხის საერთო შრომით შეძენილია და ხალხმა უნდა მოიხმაროს.

დროულად დაუბრუნდეს ტექნიკა მანქანა-ტრაქტორთა პარკებს, მოხდეს მისი ორგანიზებული დათვალიერება-შემოწმება საგაზაფხულოდ მზადყოფნისათვის, აგროსამრეწველო გაერთიანებას, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს ყოველგვარი პირობები აქვს იმისა, რომ დროულად მოახდინოს მისი კაპიტალური თუ მიმდინარე რემონტი და საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოები დაუბრკოლებლად, აგროვადების ზუსტი დაცვით წარიმართოს.

სიახლე პროფკავშირულ ცხოვრებაში

საქართველოს რესპუბლიკის პროფკავშირები ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი თვითმოქმედი, დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციებია, რომელთა საქმიანობის მთავარი ამოცანაა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში თავისი წევრების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, შრომითი და პროფესიული უფლებების და ინტერესების ღირსეული წარმოდგენა და დაცვა.

გასული წლის ივნისიდან საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციაში ნებაყოფლობის საფუძველზე გაერთიანებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირები, რომლებიც ფუნქციონირებენ ყოფილი აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მათში შემავალი პირველადი ორგანიზაციების ბაზაზე. აღსანიშნავია, რომ მარტო სახელწოდება კი არ შეცვლილა, არამედ თავის დამფუძნებელ 1 ყრილობაზე, შარშან 2 ივნისს მიღებული იქნა საკუთარი წესდებაც, რომლის შესაბამისად იგი თავის რიგებში ნებაყოფლობით საფუძველზე აერთიანებს საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის, პურპროდუქტების სამინისტროს, სასოფლო და სამელიორაციო მშენებლობის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში, კოოპერატიულ ორგანიზაციებში მომუშავეებს, დროებით უმუშევრებს, პენსიონერებს, პროფსასწავლებლების მოსწავლეებს. დარგის პროფკავშირის რესპუბლიკური ორგანიზაცია მოქმედებს თავისი წესდებით, პროგრამით, რესპუბლიკის კონსტიტუციის, საერთაშორისო პროფმოძრაობის პრინციპების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად.

მიმდინარე წლის იანვრიდან რაიონში უქმდება რა კოლმეურნეობები, სადაც აღრიცხვაზეა სასოფლო წარმოებაში დასაქმებული დარგის პროფკავშირის ორგანიზაციათა ათასობით წევრი, რომლებიც გლეხურ მეურნეობაზე გადავლენ, პროფკავშირული ორგანიზაციები ჩამოყალიბდება ტერიტორიული პრინციპით, ორგანიზაციულ-ტერიტორიული წყობის პრინციპები არსებითად იგივე რჩება, პროფორგანიზაციებს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამდე უხელმძღვანელებენ არჩეული პროფკომიტეტები.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ძირეულად იცვლება პროფკავშირული საწევრო ანარიცხების აკრეფა-ჩარიცხვის და სოცდაზღვევის ანარიცხების გადახდის წესი, კერძოდ, დარგის პროფკავშირის წევრად დარჩენის მსურველმა წლის განმავლობაში ორჯერ (ივნისსა და დეკემბერში) ცალ-ცალკე პირადად უნდა შეიტანოს პროფსაწევრო და სოცდაზღვევის შენატანი ბანკში შესაბამისი ქვითრით (ფორმა №0402001) რაც გლეხურ მეურნეობაში მისი მონაწილეობის და შრომის სტაჟის დამადასტურებელია. თანხის გამოანგარიშება კი ხდება შემდეგი პრინციპით: კრიტერიუმად აღებულია ქვეყნის მშრომელთა მინიმალური ხელფასის ოდენობა — ე. ი. 70 მანეთი. ეს რიცხვი გამრავლებულია 12 კალენდარულ თვეზე, რომელიც შეადგენს 840 მანეთს და სწორედ ამ თანხიდან უნდა გადაიხადოს თითოეულმა პროფწევრმა —პროფკავშირული საწევრო 0,5 პროცენტის, სოცდაზღვევის ანარიცხი კი 4,4 პროცენტის ოდენობით წლიურად.

1991 წლიდან შემოღებულია „გლეხური მეურნეობის წევრის საანგარიშო წიგნაკი", როგორც ახალ პირობებში მათი შრომითი საქმიანობის ამსახველი ძირითადი დოკუმენტი. ამ წიგნაკს ავსებს შესაბამისი პროფკომიტეტი მეურნის მიერ წარდგენილი მიწით სარგებლობის შესახებ აქტის საფუძველზე, რომელიც აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში.

სოცდაზღვევის შენატანების მოძრაობა დადგენილი წესით აისახება სახელმწიფო სოცდაზღვევის ანგარიშგებაში. უახლოეს პერიოდში პროფკავშირების ცაგერის რაიონული საბჭო მიიღებს საჭირო რაოდენობის საანგარიშო წიგნაკებს და მარკებს, რომელიც გაეგზავნება პირველად პროფორგანიზაციებს. ეს წიგნაკები მიეცემა 16 წელზე მეტი ასაკის პროფწევრს, შეივსება მისი ყველა რეკვიზიტი. წიგნაკი ინახება გლეხური მეურნეობის წევრთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ გლეხურ მეურნეობებს დღეისათვის არ გააჩნიათ სოცდაზღვევის საკუთარი სახსრები, დებულებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა იწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს მიერ დაშვებული დოტაციის ხარჯზე, რაც შემდგომ ანაზღაურდება.

გლეხური მეურნეობის წევრები პენსიის დასანიშნავად მიმართავენ რაიონის სოცუზრუნველყოფის ორგანოებს, რომლებიც ადრე ნამუშევარ პერიოდთან ერთად ჩვეულებრივად შრომის სტაჟში ჩაუთვლიან გლეხურ მეურნეობაში მუშაობის დროსაც „მეურნის წიგნაკის" საფუძველზე. წიგნაკში ჩაკრული მარკა ადასტურებს სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდის ფაქტს და იგი შრომის წიგნაკის ტოლფასოვანია. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის გამო 1990 წელს დარგის პროფკავშირის წევრთა დიდ უმრავლესობას გასაგები მიზეზებით, მათდუმბარად არ აქვთ პროფსაწევრო და სოცდაზღვევის ანარიცხი გადახდილი. ამიტომ მათ ამთავითვე უნდა იზრუნონ 1990 წლის ანგარიში ყოფილი მეურნეობის პროფკომებთან კონტაქტით ზემო აღნიშნული წესებით გადაიხადონ ნებაყოფლობის საფუძველზე, რათა არ გაუწყდეთ 1990 წლის შრომის სტაჟი, მოკლებული არ აღმოჩნდნენ არსებულ შეღავათებსა და დახმარებებს (დროებითი შრომის უუნარობის გამო, ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის დაბადება, წლინახევრის ასაკის ბავშვის მოვლა, ბავშვების დახმარება და ა. შ.) აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხური მეურნეობისა და მათი ოჯახის წევრებს მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში დანიშნული პენსიები მიეცემათ სოციალური დაზღვევის ანარიცხების ფონდიდან.

ამ სიახლეების პრაქტიკული დანერგვისათვის რაიონულ საბჭოს, პროფკომიტეტებს საკმაო მუშაობა აქვთ გაწეული 1990 წლის დეკემბერში, მაგრამ ამ მიმართებით მეტი მუშაობაც მოგველის. ჩვენი სურვილია, რომ დარგის პროფკავშირის წევრები გაგებით მოეკიდონ ამ ერთი შეხედვით ძნელ და შეუმჩნეველ პროცედურას და რასაკვირველია ნებაყოფლობით საფუძველზე იზრუნონ მისი განხორციელებისათვის, თუ სურთ პროფკავშირის წევრობა, რაც მათივე სიკეთისა და კეთილდღეობის გარანტია იქნება.

მ. ყურაშვილი.
სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ქართველქალობის მოთმინებით, თორემ...

სრულიად ყმაწვილქალია, საოცრად მეტყველი, ლამაზი თვალებით, საუბარში კი, მით უფრო, როცა რაღაცრაღაცეები მის პირადს ეხება, თვალებს გარიდებს, მოკრძალებულია.

ვუყურებ და გულწრფელმერთის წყალობით სოფელში ვცხოვრობთო და არაფერი გვიჭირს. ჩვენი ნაოფლარი გვაქვს. მაგრამ ვფიქრობ, ხშირად, ქალაქში როგორ ახერხებენ ბრავალშვილიანობას. აი, დასაფასებელი სწორედ ასეთი დედებია ამ დაძაბულ, გაჭირვებულ დროში. ისე ყურადღება და სითბო ყველა შვილს

ოჯახი

●

ლად მიხარია, რომ ასეთები გვყვანან, ერთეულები, მაგრამ მაინც. ზოია ოყურეშელია, მამარდაშვილის ქალი. 20 წლისა მისსავე სოფელში მუშკუდიანების ოჯახში მიუყვანიათ პატარძლად. მეუღლის, თემურის, დედამამამ, 6 შვილის მშობლებმა გულში რომ ჩაიკრეს სიყვარულით, ასე დაანათლეს პატარძალს: 6 შვილია ჩვენი ოჯახის ღირსება და სიმდიდრე, კარგად დაიხსომე ეს და გადმოგვილოცია ტრადიციაო.

ჩადგა ოჯახში რძალი. უცხო ენების შემსწავლელ კურსებგავლილს უცხო ენების სპეციალობის დაუფლება ოცნებად ჩარჩა გულის ერთ კუნჭულში. სწავლისაკენ გატაცება და სიხარული შეცვალეს შვილებმა. პირველი სოსო გაჩნდა (ახლა 11 წლისაა), მერე იმედა, მანუჩარი, ირმა, ლევანი, ანა. ანა ახლა წლისა და 4 თვისაა.

და 32 წლის ქალი უკვე 6 შვილის დედაა. მეც ხმამაღლა, სიამაყით ვუსვამ ხაზს მის ასაკს და აუარებელ კითხვას ვაძლევ: რა აინტერესებს, რას ფიქრობს, კიდევ თუ გააჩენს შვილებს, რა პრობლემები აქვს ოჯახს.

მრავალ დედას სიამოვნებსო, წამოცდა. მრავალი შვილი მარტო ოჯახის კი არა, ერის სიმძლავრე, სიამაყეა. ეს ისე თორემ, ვის რას ვავალდებულებ, შვილები გავაჩინე და კიდეც უნდა აღვზარდოო. ამას ამბობს ქართველქალობის მოთმინებით, თორემ ხომ ვიცით რამდენი რამ აწუხებს მისსა და სხვის შვილებს სოფლის პირობებში: არა ბაგა, არა ბაღი, არა მუსიკა, არა ცეკვა, არანაირი აუცილებელი, ადამიანური.

ამას ყველაფერს, როგორც ამდენ ხანს, ახლაც მოვითმენდითო, ამბობს საქართველოს დღევანდელობით გულდამძიმებული ახალგაზრდა დედა, გონიერება და ჩვენი სიმართლე, დედის ლოცვა-კურთხევა თუ გადაგვარჩენსო.

წასვლისას ქალთა რაიონული საბჭოს სახელით წმინდა ნინოს დღესასწაულისათვის პატარა ყურადღება მივაგეთ და გავაცილეთ შინ. სადაც ბებიასთან და მამასთან დატოვებულ მის ბაწიებს თვალი კარისკენ ეჭირათ, განსაკუთრებით ანას, მე-6 შვილს, ჯერჯერობით მე-6-ს...

მ. ძნელაძე.

გლეხური მეურნეობები: საგეგმო კომიტეტის თვალსაზრისით

სსრკ საგეგმო კომიტეტმა განაზოგადა რესპუბლიკებიდან შემოსული ინფორმაცია გლეხურ მეურნეობათა მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. ანალიზის დროს არ ჰქონიათ მონაცემები, მაგალითად, ლიტვის, სომხეთის, თურქმენეთის მინისტრთა საბჭოებიდან. და აქამდე არ არის აგრეთვე ერთიანი იურიდიული განსაზღვრება თვით ტერმინისაც „გლეხური მეურნეობა". მეტწილ რესპუბლიკაში შესაბამისი კანონი მხოლოდ ახლა მუშავდება, არაფერს ვამბობთ თვით საკავშირო სამართლებრივ აქტზე. მით უმეტეს, რიგი პრინციპული საკითხები ამჯერად დიდი ხანია გარკვეულია: კანონებში მიწის შესახებ, საკუთრების შესახებ, იჯარის შესახებ.

დავიწყოთ იმ რეგიონებიდან, რომლებშიც კანონმდებლობა უფრო ოპერატიულად იმუშავეს. ცხადია, რომ რუსეთში, ლატვიაში, ყაზახეთში, ესტონეთში, სადაც მიღებულია კანონები ან დადგენილებები გლეხური მეურნეობების შესახებ, მეტი პირობებიც არის ასეთი ფორმის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წასახალისებლად. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის დასაწყისში ბალტიისპირეთში ხელისუფლების შესაბამის ორგანოებში 12 ათასამდე განცხადებაა გლეხობისაგან, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ დამოუკიდებლად აწარმოონ სასაქონლო პროდუქცია. შუა წელში კი ოფიციალურად რეგისტრირებულ მეურნეობათა რაოდენობამ 8 ათასს გადააჭარბა. ძნელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ამ რესპუბლიკებში უკვე უახლოეს ხანში მთელ იმედებს დაამყარებენ დამოუკიდებელ გლეხებზე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციის მწარმოებლებზე.

რუსეთის სფს რესპუბლიკის სახაგრომრეწვში (ამჟამად უკვე ყოფილი) სასოფლო-სამეურნეო სეზონის შუახანებში ჰქონდათ მონაცემები 250-მდე გლეხური მეურნეობის საქმიანობის შესახებ.

მეტად ჭრელი სურათია, რომელიც სხვა რესპუბლიკების მიმართ არაერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას იწვევს. მაგალითად, უკრაინიდან სახელმწიფო კომიტეტში მოვიდა მონაცემები 43 გლეხური მეურნეობის შესახებ, რომელთაც 468 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვთ. უზბეკეთის მინისტრთა საბჭომ „უპატაკა" „ძირითადად მეცხოველეობის მიმართულების" სამი ათასამდე ასეთი წარმოების არსებობის შესახებ. აი აზერბაიჯანიდან კი მოიწერეს, რომ მათთან ასეთი მეურნეობა ხხოლოდ შეიდია.

მოვეშვათ მეთოდს, რომელიც პრობლემის ანალიზისათვის ავარჩიეთ. მოცემულ შემთხვევაში თვით მსგავსი თვალსაზრისითაც კი ზევიდან არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ, რომ „მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც დაინტერესებული არიან ჰქონდეთ გლეხური მეურნეობა, არ შეუძლიათ პრაქტიკულად დაიკმაყოფილონ ეს საარსებო სურვილი".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაბი ჯანმრთელი ეკონომიკური წყობის წინააღმდეგ სამოქმედოდ სოფლად გაცილებით მეტია, ვიდრე მისი აღდგენის წინამძღვრები. საგეგმო კომიტეტმა დაადასტურა „სერიოზულ ჭარბნაკეთობათა უქონლობა", რის გამოც დიდი სიძნელეებით მიმდინარეობს რიგ პრინციპულ, ნორმატიულ დებულებათა მომზადება: მიწის საფასურის განსაზღვრა, მიწის კადასტრის შემოღება, შეძენილი მიწის უფლების სახელმწიფო გაფორმება და სხვა არანაკლები „უსიამოვნო" დასკვნები, რომლებიც ეხება პრობლემის სხვა მხარეებს—მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, დამოუკიდებელი გლეხების სოციალურ უზრუნველყოფას.

მხოლოდ ამას კი ვფიქრობთ: ასეთმა რეგლამენტაციამ საპირისპირო სამსახური ხომ არ გასწია.

ა. ძიუგლო.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

კუდარო

ალსდგა ისტორიული სამართლიანობა, საქართველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმა უკანონოდ და ადმინისტრაციულად უაზროდ შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ უკანონო ოლქის ძირითადი ტერიტორია მოიცავს ისტორიულ შიდა ქართლს, ანუ სამაჩაბლოს, ხოლო ოლქის ჩრდილო დასავლეთი ნაწილი მოიცავს რაჭის ნაწილს, რომელიც ისტორიულად ჯაფარიძეთა სათავადოს ნაწილია კუდაროს სახელწოდებით ცნობილი.

შიდა ქართლი, ანუ სამაჩაბლო, რაჭას უკავშირდება ცხინვალი-ონის გზით, რომელსაც შუა საუკუნეების დოკუმენტებში ლიბიის გზის სახელით იხსენიებენ. ეს ლიბია არ გვეგონოს, რომლის ზეგანზეც მსოფლიოს შვიდი სასწაულიდან ერთ-ერთი ეგვიპტის პირამიდებია აღმართული. ეს გზა დღესაც აქტიურად მოქმედებს და კარგი იქნება, თუ მას ისევ თავის ძველ ისტორიულ სახელს ლიბიის (ცხინვალი-ონის) გზას დავარქმევთ, ხოლო რაც შეეხება კუდაროს, ეს სახელი, ალბათ ქართველთა უძველეს ცივილიზაციის ქვეყნებთან—ეგვიპტესთან და შუმერებთან მჭიდრო კავშირის ნიშანია. კუდურუ—ძველი ისტორიის ამ ქვეყნებში ეწოდებოდა სასაზღვრო და სარიტუალო-საკულტო ქვის სვეტს. ალბათ მას უნდა უკავშირდებოდეს შედარებით მოგვიანებით ქრისტიანობის პერიოდში გადარქმეული სახელი ქვაისა (ოსური გამოთქმით კვაისა), ანუ საჯვარე. რაჭის ისტორიული ნაწილი კუდარო მოიცავს შემდეგ სოფლებს: ჩასავალი, ქვაისა (საჯვარე), ლესორა, გულიანთა, ნადარბაზევი, ნაკრებავი, შუაჭალა, არაშენდა, ზამთარეთი, ბოჟა, ლეთა, ჯაჭვნარა და ჯავისთავი. გარდა ამისა, მდინარეების ღარულას, გომრულის და ჭანჭახის სათავეებში მდებარე სოფლებიც, რომლებიც ისტორიულადაც და გეოგრაფიულ-ორთოგრაფიულად რაჭის განუშორებელი ნაწილი იყო, უკანონოდ დაარსებულ ოლქს ეკუთვნოდა. ეს სოფლებია კვაჟადმში და ჭვებარი. უნდა აღინიშნოს ის კეთილგანწყობილება და ურთიერთობა, რაც საუკუნეობით არსებობს ამ ოსებსა და ქართველებს შორის. ჭვებარი და გადამში ადმინისტრაციულად ონის რაიონს ეკუთვნის და არა უკანონო ოლქს. ეს უკვე ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხელოვნურად შექმნილი ოლქი ოსთა და ქართველთა გათიშვა-გაუცხოების ფუნქციას ასრულებდა და სხვას არაფერს.

ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას რომ არავითარი ეკონომიკურ-გეოგრაფიული საფუძვლები არ ედო მიზნად, იქედანაც ჩანს, რომ, მაგალითად, სოფელ ღურშევი ადმინისტრაციულად ეკუთვნოდა ჯავას, იგი რაიონულ ცენტრთან არავითარ უშუალო კავშირში არ იყო, მხოლოდ რაჭის სოფლებზე გლოლაზე, უწერაზე, ონზე და ირი-ქვაისის გავლით ამ უშორესი გზით შეეძლო მას ჯავაში მოხვედრა. ამ ადმინისტრაციული უთავბოლობით გატანჯული ღურშევი საბოლოოდ მოიშალა და გაქრა. ასევე მსგავს მდგომარეობაში იყვნენ მდინარეების გომრულის და ღარულის ხეობაში არსებული და თვით კუდაროს ოსური სოფლები. ამ გაჭირვების გამო, 50-იანი წლების დასაწყისში რაჭის ამ ისტორიულ ნაწილში მცხოვრებმა ოსებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს იმ დროინდელ მთავრობას, რათა უგზოობის და მოუხერხებლობის გამო ისინი ოლქის დაქვემდებარებიდან გამოეყვანა და დაექვემდებარებინა ონის რაიონისათვის. მაგრამ რაიონის იმ დროინდელმა ბიუროკრატიამ, ამ თხოვნაზე თავი არ გამოიდო, რადგან დამატებით საზრუნავს მატებდა მათ.

ასე რომ, უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე, სასებით გამართლებული და მიზანშეწონილია და მას პოლიტიკური საფუძვლების გარდა საკმაოდ მყარი ეკონომიკურ-ადმინისტრაციული საფუძვლებიც აქვს. რით არის, მაგალითად, ეგრეთ წოდებულ ოლქზე ნაკლები ოსებით დასახლებული თერგის სათავე, რომელიც თრუსოს ხეობით არის ცნობილი და ადმინისტრაციულად ყაზბეგის რაიონს ექვემდებარება. ისტორიული კუდაროს კვლავ შეერთება რაჭის რაიონებთან, კვლავ ააღორძინებს იმ სამაგალითო კეთილ ურთიერთობას, რომელიც ბოლშევიკურმა 69 წლიანმა კედელმა შექმნა უკანონო ოლქის სახით. რაჭის მოსახლეობას და მათ მეზობლად მცხოვრებ ოსებს შორის არსებული ურთიერთობის დასახასიათებლად ისიც კმარა, რომ მათ შორის არც თუ იშვიათი იყო დამოყვრება-დანათესაურების ფაქტები. ასე რომ, უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება ოსი და ქართველი ხალხის საუკუნოვანი კეთილი ურთიერთობის კვლავ აღორძინების არსებითი პერსპექტივა არის.

ავთანდილ გიორგოზიანი.

რაიონული გაზეთი „ონი“.

გამთარება, ყინავს, ფრთხილად!

ჩვენდა საბედნიეროდ, მთელი დეკემბერი და იანვრის პირველი ორი დეკადა ისე გავიდა, რომ თოვლითა და ყინვით საფრთხე არ შექმნია ტრანსპორტის მოძრაობას. იანვრის დასასრულმა თავისი გააკეთა, საკმაო თოვლი მოვიდა და მსუსხავი ყინვაც დაერთო, რაც ყველაზე მეტად საშიშია ავტოტრანსპორტის მოძრაობისათვის, მითუმეტეს ისეთი მთიანი რაიონისათვის, როგორიც ჩვენია, სადაც მოძრაობა ხდება მაღალი, მოყინული და მოძრაობასაშიში გადასასვლელების გავლით.

ამიტომ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები თავს ალდებულად ვთვლით შევახსენოთ წარმოება-დაწესებულებების, მეურნეობების ხელმძღვანელებს, მსუბუქი ავტომობილების მფლობელებს, რომ ასეთ პერიოდში გამოიჩინონ სიფხიზლე, მათდამი დაქვემდებარებული ტრანსპორტი ხაზზე გაუშვან მხოლოდ ტექნიკურად გამართული და საბურავებზე სპეციალური ყინვამსხლეტსაწინააღმდეგო სამაგრებით, თორემ ბუნება ყველაზე მკაცრი გამომცდელია და შეცდომას არ გვაპატიებს.

საკუთარი ავტომობილების მფლობელებს შევახსენებთ, რომ არ გამოიყვანონ ავტომანქანები აუცილებლობის გარეშე და მოერიდონ მგზავრობას, აუცილებლობის შემთხვევაში კი საბურავებზე ჰაერი ნორმალურ [illegible] გრები. ვერავინაო „შემთხვევაში“ ვერ დაუშვებთ ავტომანქანების მოძრაობას გაცვეთილი საბურავებით.

ამიტომ ყველა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელმა დაკვირვებით დათვალიერეთ ტრანსპორტი ხაზზე გაშვების წინ, მძღოლს ყინვიანი, ნისლიანი და მსვლელობისათვის გაუარესებული გზა ელოდება და თუ ტრანსპორტი ამისათვის ვარგისი არ არის, ნუ გავუშვებთ.

წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მძღოლებს ვთხოვთ შეექმნათ პირობები გზებზე უსაფრთხო მოძრაობისათვის, ამ საქმეში ყველას მხარდაჭერას ველოდებით.

მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს ვთხოვთ, რომ ბავშვები დაარიგონ ზამთრის პერიოდში უსაფრთხო მოძრაობისათვის, ფეხით მოსიარულეებს ვთხოვთ იყვნენ ყურადღებით, ყინვის დროს გაზრდილია ავტომანქანის სამუხრუჭე მანძილი და ხედვითი არე, ამიტომ ფრთხილად გადავიდეთ გადასასვლელზე, რომ რაიმე უსიამოვნება არ მოხდეს.

ზამთრის პერიოდში მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთაგან მოძრაობის წესების დაცვა აგვაცდენს საგზაო შემთხვევებს.

რ. სალინაძე,

შინაგან საქმეთა საგერის რაიგანყოფილების უფროსი სახელმწიფო ავტოინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

საქართველოს რესპუბლიკა. ოზურგეთის რაიონის სოფელ ანასეულში სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოდიან სპეციალისტები გამოცდილების გაზიარებისა და რჩევის მიღების მიზნით. ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობენ ჩაის, სუბტროპიკული კულტურების ბიოლოგიას, აწარმოებენ სელექციურ მუშაობას, ატარებენ სხვა მრავალრიცხოვან სამეცნიერო კვლევებს.

სურათზე: ასპირანტი ი. ჯაფელი თვალყურს ადევნებს იშვიათი სუბტროპიკული მცენარეების ნაყოფის განვითარებას.

ინტერვიუ

საკავშირო კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს ს. ვალეევს და მიმართა რამდენიმე კითხვით, სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის ახალი სისტემის თაობაზე.

სტიპენდია — ყველას

—სტანისლავ ალექსანდრეს ძევ, მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაზე ვლაპარაკობდით რომ იგი „ყველაზე განვითარებული იყო მსოფლიოში“. ნუ შევეხებით განათლების ხარისხს. ვისაუბროთ მხოლოდ როგორ ფინანსდება იგი.

—მაღალგანვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენთან განათლებისათვის საჭირო სახსრები გამოიყოფა ნარჩენების პრინციპით. 1971 წელს უმაღლესი დაწესებულებებისა და საშუალო-პროფესიული სასწავლებლების სტიპენტიების ფონდი საჭირო თანხების მხოლოდ 74 პროცენტს შეადგენდა. სხვა სტიპენდიების ფონდი საჭირო თანხების მხოლოდ 74 პროცენტს შეადგენდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა მხოლოდ 74 პროცენტს შეეძლო ეოცნება სტიპენდიაზე. ასეთი საფინანსო პოლიტიკის შედეგად დანარჩენი კონტიგენტი უსტიპენდიოდ დარჩა.

—1 სექტემბრიდან სტიპენდიას უხდიან ყველა სტუდენტს, და საშუალო-სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეს, ვისაც კი დადებითი ნიშნები აქვს. ვინ ეკუთვნის ასეთთა რიცხვს?

—პირები, რომელთაც არა აქვთ აკადემიური დავალება გამოცდებისა და შემაჯამებელი კონტროლის შედეგად სემესტრის განმავლობაში.

—მაგრამ თუ სტუდენტი გამოცდაზე ჩაიჭრა?

—მას სტიპენდიას შეუწყვეტენ მანამდე, სანამ გამოცდას არ გადაბარებს დადებით ნიშანზე.

—„სამოსნებისათვის“ სტიპენდიის ჩამორთმევას იმით ამართლებდნენ, რომ ეს აიძულებდა მათ უკეთ ესწავლათ. თქვენ ეთანხმებით ამას?

—მხოლოდ ნაწილობრივ. ეს წინათ, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა სტიპენდიით თავის გატანა, ვფიქრობ, მატერიალური წახალისების სისტემამ რადენადმე გაამართლა. ახლა ფული ისე გაუფასურდა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა. თვითონ განსაჯეთ: ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდია ძირითადად შეადგენს ორმოც მანეთს, ხოლო საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში—ოცდაჭოს. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ახლა ყველა, ვისაც კი დადებითი ნიშნები აქვს, ამ სტიპენდიას იღებს. წელიწადზე გადაანგარიშებით დამატებითმა ხარჯებმა 340 მილიონი მანეთი შეადგინა.

რეპლიკა

რას მივაწეროთ?

ამჟამად საქართველოში შექმნილი მძიმე ენერგობალანსის პირობებში ელექტროენერგიის გამიზნულ, მომჭირნე ხარჯვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი საღამოც კი არ იქნება, რომ ტელეეკრანიდან არ შეგვახსენონ ენერგეტიკული კრიზისის შესახებ. იმავე წამში უნებურად წამოდგები და თუ ოჯახში ზედმეტი ნათურა ანათებს, გთიშავ.

და რა გასაკვირია, რომ ელექტროენერგიის ასეთი მწვავე დეფიციტის პირობებში ძალიან ხშირად ქუჩები დღისით გაჩახჩახებულია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა დილის საათებში, როცა სამსახურში მივდივართ. ქუჩების უმრავლესობა გაუთიშავია. არ გჯერათ? გაიხედეთ სანაპიროს, ნინოშვილის ქუჩებისაკენ, ჩხუტელის და ქვედა ცაგერისაკენ მიმავალ ხაზებზე და დარწმუნდებით.

რას მივაწეროთ ეს, მორიგის უპასუხისმგებლობას თუ გულმავიწყობას?

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს

ნანა ზაურის ასულ ჩიტალაძეს
ბაჩუკი თემურის ძე ასათიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძემტკიცე, ძლიერი ოჯახის შექმნას.

ტვიშის საექიმო ამბულატორიის და აფთიაქის თანამშრომლები.

ხათუნა ნოდარის ასულ გუგავას
ამირან აბელის ძე კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული, სიხარული ყოფილიყოს თქვენი მეგზური. გფარავდეთ ღმერთი.

ქეთინო გუგავა, ხათუნა მეშველიანი, ლელა მეშველიანი, მაყვალა კვირკაშვილი.

ლარისა შოთას ასულ ბერიძეს
თენგიზ ჟორას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი. სიყვარული, სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი მეგზური მრავალჟამიერ.
ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ცაგერის № 23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები.

მაია ბორისის ასულ კვირკაშვილს
სოზარ ომარის ძე ახვლედიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სულ ბედნიერი ყოფილიყოთ.

თამაზ, ემზარ, სოზარ, ლალი, ლაშა, თამუნა ლიპარტელიანები.

ლარისა შოთას ასულ ბერიძეს
თენგიზ ჟორას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ტკბილი, ქართული, ფუძემლიერი ოჯახის შექმნას გისურვებთ.

ლევან, მაგული, ჯიბილო მეშველიანები.

გილოცავთ

ნანი და თემური ნემსწვერიძეებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაგეზარდოთ ქართველი ერის სასახელო შვილები.

ლვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

თამრიკო შოთას ასულ კოპალიანს
ტარიელ ბერსის ძე თვარაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. სიხარული, სიკეთე და ბედნიერება ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ლამაზ ოჯახს.

ელისო გოგიძე, თამრიკო, მურთაზ კოპალიანები.

დუდუშა მურცხვალაძე

ჯერ საჭირო იყო ჩვენთვის, სამედიცინო კოლექტივისათვის, ავადმყოფებისათვის, ოჯახისათვის, საზოგადოებისათვის. ჯერაც ბევრი რამ შეეძლო მის კეთილ გულსა და ნათელ გონებას. მაგრამ დღენიადაგ სხვისი ჯანმრთელობის სამსახურში მოფუსფუსე ვაჟკაცი ბუნების ქალი, დაჯაბნა, დაიმორჩილა ავადმყოფობამ.

მაგრამ ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან რაისაავადმყოფოს კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი, შრომის ვეტერანი დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე. 46 წელი უმწიკვლოდ ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

ქუთაისის საფერშლო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რაისაავადმყოფოში მედდად, ხოლო 1948 წლიდან სათავეში ჩაუდგა საავადმყოფოს ახლად დაარსებულ ლაბორატორიას, სადაც შტატით მხოლოდ ერთი მედლაბორანტი იყო გათვალისწინებული. გაიარა სათანადო კვალიფიკაცია, წლების განმავლობაში მუშაობდა მაღალკვალიფიციურ ექიმ-ლაბორანტებთან, რამაც განაპირობა მისი დაოსტატება ამ საქმეში. მისი გაკეთებული ყოველი ანალიზი იყო სრულყოფილი და ხარისხიანი, არ შეეძლო საქმის მიფუჩეჩება, გულგრილობა, ამიტომ სიყვარული და ავტორიტეტი ჰქონდა როგორც სამედიცინო კოლექტივში, ისე პაციენტებს შორის.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული იყო მედლებით და საპატიო სიგელებით. გამოცხადებული ჰქონდა მრავალი მადლობა.

წავიდა ჩვენგან ... უანგარო ადამიანი, მოსიყვარულე, ერთგული მეგობარი, კარგი მეუღლე, დედა და ბებია (სამი შვილიშვილი მას „მართლა დედას“ ეძახდა), რომლის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების და პაციენტების გულში.

მშვიდობით მეგობარო. დიდხანს არ განელდება ჩვენს გონებასა და გულში შენი დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი.

ცაგერის რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის სამედიცინო კოლექტივი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

მერაბ, რაინდი ჰილვარიები, თამაზ ჰელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ სოსო, თემურ შკუბულიანებს მამის **ვალიკო შკუბულიანის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ოთარ ლიპარტელიანი, ნუშარ ლეთოდიანი, სამსონ, შირმან, გივი, გურამ მდივნები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დუდუშა მურცხვალაძე.**

კოოპერატივ „კეთილმოწყობის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დუდუშა მურცხვალაძე** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ, ალბერტ, მზია ლეთოდიანები, ტუღუ ხაბულიანი, ლერი ჩხეტიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ლილი გრიგოლის ასული ლეთოდიანი-ლიპარტელიანი.**

ლეილა კვენეტაძე თანაუგრძნობს დალი, ომარი ბურჯალიანებს მამისა და სიმამრის **ვალიკო შკუბულიანის** გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის I-ბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი, მშობლები თანაუგრძნობენ კობა კიზირიას ბებიის **დუდუშა გოგიძის** გარდაცვალების გამო.

ჯაბუ, რეზო, თამაზ ტვილდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **გრიშა სამსონის ძე კვირკაშვილი**

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოდარ ხეცურიანს დედის **იედითი ხეცურიანის** გარდაცვალების გამო.

ნანი ხაბულიანი, სოსო გასვიანი თანაუგრძნობენ სოსო შკუბულიანს მამის **ვალიკო შკუბულიანის** გარდაცვალების გამო.

ვალოდია, გურგენ, ტარიელ დავითულიანები, ბუჩუ, ბიძინა გუგავები, კოლია ნემსწვერიძე, დავით ზურაბიანი ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა **ვალიკო შკუბულიანი.**

უახლოესი მეზობლები გურამ ხმელიძე, დოდო სალინაძე, მიხეილ მუშკუდიანი, ბიძინა შალვა სალინაძეები, ტიტიკო კოპალიანი, ავთო დაშნიანი, ლევან ჩარკვიანი, ოთარ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ციცო და ამზაირ კიზირიებს დედისა და სიდედრის **დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე-გოგიძის** გარდაცვალების გამო.

მიხეილ, ზურაბ სალინაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ლილი ლიპარტელიანი** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რაისაავადმყოფო პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მედიკო შკუბულიანს ბიცოლის **დუდუშა მურცხვალაძის** გარდაცვალების გამო.

მარდენ გუგავა ოჯახით იუწყება მამიდაშვილის **დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე-გოგიძის** გარდაცვალებას.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ლილი ლიპარტელიანს სიძის **გრიშა კვირკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს სოსო, თემურ შკუბულიანებს მამის **ვალიკო შკუბულიანის** გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის 1982 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ბადრი კვირკაშვილს მამის **გრიშა კვირკაშვილის** გარდაცვალების გამო.

კაკო, ვილგემ, გია მეშველიანები, ბიჭიკო რეხვიაშვილი, გიზო ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ჭიმშერ სოლომონის ძე მეშველიანი.** დაკრძალვა 3 თებერვალს, კვირას, სოფ. ჩხუტელში.

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბადრი კვირკაშვილს მამის **გრიშა კვირკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ სოსო შკუბულიანს მამის **ვალიკო შკუბულიანის** გარდაცვალების გამო.

ოთარ ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ლადო გოგიძეს მეუღლის **დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე-გოგიძის** გარდაცვალების გამო.

ლვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს შალვა ყურაშვილს ძმის **ოთარი გიორგის ძე ყურაშვილის** გარდაცვალების გამო.

თაბორის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ალექსანდრე ქარსელაძეს სიძის **ჭემალი სარავას** გარდაცვალების გამო.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა კვირკაშვილს ბიძის **გრიშა კვირკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ცაგერირაიგაზის სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მირზა ლიპარტელიანს დედის **ლილი ლეთოდიანი-ლიპარტელიანის** გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვახტანგი შკუბულიანს ბაბუის **ვალიკო შკუბულიანის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მალაქი, შვილები იამზე, ირა, მირზა, აზა, რძალი დალი ამბროლიანი, სიძეები ბადრი ხეცურიანი, ჯონდო სალინაძე, ოლეგ ბერეკაშვილი, შვილიშვილები მაია, თეა, ნათია, რიტა, ზაზა, ლაშა, დათო, თათია, ბერიკა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ლილი გრიგოლის ასული ლეთოდიანი-ლიპარტელიანი** დაკრძალვა 3 თებერვალს, კვირას ქ. ცაგერში.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები იუწყებიან **გერმანე ურთმელიძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი საშა, შვილიშვილები თამაზი, თენგიზი, თემური, რძლები ლეილა გურგუჩიანი, მზია ცხადაია, ძმა გალაქტიონი, და ლუბა ჰილვარია, ძმისშვილები, დისშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ვასასი ესტატეს ასული ჰილვარია-კოპალიანი.** დაკრძალვა 3 თებერვალს, კვირას, ქ. ცაგერში.

უახლოესი მეზობლები არდამ ხაბულიანი, ალიოშა ჩაფრავა, ლეო მამარდაშვილი, გრიშა, ქერა, შოთა, მიშა, ნუგზარ, კლავდია გუგავები, მიშა ჩაფრავა, ამირან რუსიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **გრიშა სამსონის ძე კვირკაშვილი** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №6. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34 სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-38, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.